



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია



დასკვნა:დ12.37203561

თარიღი:21/12/2020

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია 18.12.2020 წ. გაეცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს .

პროექტი მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტისათვის სავალდებულო მონაცემებს: გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს და მათ ფარგლებში განხორციელებულ პროგრამებს და ქვეპროგრამებს, რომლებიც თავის მხრივ ეყრდნობა გასული საბიუჯეტო წლის შედეგების ანალიზს და მიმდინარე წლის პროგნოზებს. მასში სათანადოდაა წარმოდგენილი ჩპროგრამების, ქვეპროგრამების მიზნები და მისაღწევი შედეგები, ასევე ამ შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები, მითითებულია პრიორიტეტებით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების ოდენობები.

თუმცა, პროექტში ნაკლებადაა წარმოდგენილი გამოწვევები, რისკები და საფრთხეები, რომლებიც, ძირითადად, ეხება პანდემიის შედეგად გაზრდილ უმუშევრობის დონეს, ახალგაზრდებისათვის სამუშაო ადგილების ნაკლებობას, ბიზნესის ხელშეწყობას და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას;

ბიუჯეტის აღწერილობით ნაწილში ნაკლები ინფორმაცია დევს სამედიცინო დაწესებულებების, ამბულატორიების, თემებში არსებული კონკრეტული გამოწვევების შესახებ. არ არის განხილული ის მიმართულებები, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილდღეობაზე შეიძლება დადებითად აისახოს. ნაკლებია ან საერთოდ არა არის ინფორმაცია ტურისტული და რეკრეაციული ზონების შესახებ, სკვერების, პარკების, კულტურული ძეგლების შესახებ. არ ჩანს კონკრეტულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა მაგ; ინტერნეტზე, ტექნოლოგიებზე, კანალიზაციასა და წყალმომარაგებაზე. პროექტი არ არის წარმოდგენილი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრების, შემოსულობების და ხარჯების გათვალისწინებით, ობიექტური მიზეზების გამო ბიუჯეტი მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

განათლების მუხლით, რომლითაც ხორციელდება სკოლამდელი განათლების, ასევე ზოგადი, პროფესიული და ზრდასრულთა განათლების და

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, გათვალისწინებულია 4 მილიონ 650 ათასი ლარი; სასიამოვნოა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის ხელფასის ზრდა მინიმუმ 50 ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტისთვის დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება შშმპ ინტეგრაციის საკითხი. სამწუხაროდ, არამცთუ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობაც კი არ არის ადაპტირებული და შშმ პირებზე მორგებული. სამწუხაროა, რომ 2021 წლის ბიუჯეტშიც ვერ მოიძებნა თანხა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში შშმ პირებზე გათვლილი ლიფტისა და ადაპტირებული სველი წერტილების მოსაწყობად.

მისასალმებელია, რომ ბიუჯეტი იძლევა მოსახლეობის გენდერული ინტერესების დაცვის შესაძლებლობას. მუნიციპალურ პროგრამათა პრიორიტეტები განსაზღვრულია გენდერული ასპექტის გათვალისწინებით, შემუშავებულია კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობისა და შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფის, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და გენდერულად ორიენტირებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის პოლიტიკა. მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის შესამუშავებლად ბიუჯეტში აკუმულირებულია თანხა 30 ათასი ლარის ოდენობით. ახალიზის საფუძველზე შემუშავებულია დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამები და დაგეგმილია მომდევნო წლის კულტურული და სპორტული ღონისძიებები. კვლევებისა და ახალიზის საფუძველზე მომზადებულია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროგრამები შესაბამისი წესის დართვით, რაც საშუალებას იძლევა სოციალური დახმარების გაცემა განხორციელდეს და გაკონტროლდეს ობიექტურად. სასურველია ბიუჯეტის პროექტში დაკონკრეტებულ იქნას 18-დან 21-წლამდე სახელმწიფო ზრუნვის პროგრამებიდან გასული ახალგაზრდების ინტერესები მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამაში.

კომისიას შესაძლებლად მიაჩნია წარმოდგენილი ბიუჯეტის წარდგენა საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ლელა საჯაია

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

